(შემდეგი იქნება)




კოლუმბის დაბრუნება აპერიკიდან, ველური კაკების მოყვანა და იზაბელა დედოფლის მიერ მიღება კოლუმბისა

ქრისტეფორე კოლუმბი

(დასასრული *)

მეორე მოგზაურობაზე კოლუმბმა აღმოაჩინა რამდენიმე ახალი კუნძული, რომლებზედაც სპაერება და ევლური ხალხი — კარიბები და 22 გიორგობისთვის მივიდნენ ისპანიოლაში, სადაც კოლუმბმა დატოვა თავისი მებრძოლენი. საშინელი სანახაი წარმოუდგა თვალწინ კოლუმბს: ციხე დანგრეული, ხალხი მთლად ამოწყვეტილი. დღეუპულნი ისპანიელები თვითონვე ყოფილიყვენ მიზენი ამ გვარის უბედურებისა: გატაცებულნი ანგართმოყვარეობით, ისინი თურმე მოსვენებას არ აძლევდნენ ევლურს ინდოელებს, სტაცებდნენ რაც კი რამ ებადათ. ხოცავდნენ როგორც ნადირებს, და ამათაც ევლარ მოეთმინათ. აჯანყებულებიყვენ, დასცემოდნენ ციხეს და ხარბნი ევროპიელები მთლად ამოწყვეტიათ.



კოლუმბის სასაფლაო ძეგლი.

ევროპაში კი ამ საქმეს სულ სხვა ნაირად შეხედეს, მტვარზე კოლუმბის მტრებმა: ისინი ყველაფერს ახარლებდნენ კოლუმბის მართეა-გამგეობას.

აუცილებელ საჭიროებად გახდა ახალი სიმაგრის აშენება. კოლუმბის განკარგულებით ყველამ საქმეს მოჰკიდა ხელი: რაინდმა, ოფიცერმა, მოხელემ, სალდათმა. სარაინდოთ წამოსულს ევროპელებს არც ეს მოეწონათ, ხალხში დიხადა უთანხმოება, რომელიც მალე შეთქმულობათ გადაიქცა. გამაჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც განიძრახეს, ხომალდის მოტაცება და ევროპაში დაბრუნება, რომ მე-

ფის წინაშე დაებეზუნდნათ კოლუმბი; მაგრამ კოლუმბი მალე მიუხედა განზრახვას დღირსეულად დასაჯ. მოთავე ამ შეთქმულობისა.

კოლუმბმა გაათათუ არა ახალი სიმაგრის აშენება, მაშინვე შეუდგა მოგზაურობას და აღმოაჩინა რამდენიმე ახალი ევლური მდიდარი კუნძული. შემდეგ დაიმორჩილა რამდენიმე თემი ევლურის ხალხებისა და ისე დაბრუნდა ისპანიოლაში სადაც მას უყლიდემეორე ძმა ბარტოლომეო, რომელიც მაშინვე ცოცხ- მთავარმართებლად იქნა დანიშნული, როგორც კაცპატრონისა და მტკიცხასიათისა. მაგრამ ისპანიელების თეგასულობას კი მაინც ბოლო არ მოელო. ისინი საშინლად ტანჯავდნენ და ჩაგრაედნენ ინდოელებს: ტაცებდნენ ქონებას, ცოლებს, ქალებს. ინდოელებმა შეიძულეს ძალად შემოსეული სტუმრები

და საცა კი მოასწრებდნენ, სისხლს უშრობდნენ. კოლუმბი ებრძოდა ამ ბოროტებას მაგრამ ევლარაზღებოდა. ამასობაში რამდენიმე კაცი წამოვიდა ევროპაში და ათასნაირი ჭირებით ისე აადლებდნენ მეთე, რომ ყველა ამ ამბების გამოსაძიებლად ისპანიოლაში გაგზავნა თაეისი მხლობელი კაცაგუალო, პირადი მტერი კოლუმბისა. აგუალომეტად ხებრულად ეციდებოდა კოლუმბს. ყოველნაბიის გადადგამზედ შეუარაკოფუს აუყენებდა მას და მით უფრო აქეზებდა ისეც თევაკასულს კოლუმბის მტრებს. კოლუმბსა და აგუალოს შორის დიდი უთანხმოება ჩამოეარდა. უთანხმოების ამაეე მიეიდა მეფემდის, კოლუმბის მტრები ჩასიჩინებდნენ

*) იხ. „ქვალი“ № 31.

ეჭიან მეფეს, რომ კოლომბი მხოლოდ თავის გამ-
 აღრებაზედ ზრუნავსო, რომ მას ფიქრად აქვს გა-
 მეფდეს ახლო აღმოჩენილს ადგილებშია. ამ ხმებ
 მა ისე იმოქმედეს მეფეზედ, რომ მან სასტიკი გამო-
 ძიება დაწინაა. ამ საქმისთვის ისპანიოლაში გავზა-
 ნა მისისხლე მტერი კოლომბისა ბოვადილია, რომ
 მელსაც განუსაზღვრელი უფლება მიანიჭა. ბოვადი-
 ლიამ მალე გამოიჩინა თავისი მკაცრი ბუნება. დიე-
 გოს მოუსპო თავისუფლება. ბარტოლომეო დატ-
 უყვეა და დიდებულს კოლომბს ბორკილებით შეუქ-
 რა ხელები და ისე გაისტუმრა ისპანიასში. ამ სახით
 ის კაცი, რომელიც უნდა გამხდარიყო დიდება და
 მნათობი ერისა, ის კაცი, რომელმაც აღმოაჩინა
 მთელი ნაწილი ქვეყნისა, ის კაცი მებორკილი
 დატურუნეს სამშობლოს, როგორც მოღალატე, რო-
 ვგორც უბრალო დანაშაუდი.


ხალხმა რომ დაინახა ხელებ-მეკრული კო-
 ლომები, საშინელი რტყინა დაიწყო, აღძვლა; აღ-
 შფოთდა, და ხმა-მალა დაუწყა კიცხვა ბოვადი-
 ლიას. მეფე და დედოფალიც შეუწბნენ და უბრა-
 ძანეს ხელები გავხნათ კოლომბისთვის; მიუალღო-
 სეს კიდევ დატანჯულს მოსუსეს, მაგრამ ისპანიო-
 ლაში დაბრუნების ნება კი მაინც არ მისცეს. იქ მთავარ-
 მართებლად დანიშნეს ერთი ვილად ოვანდო, რომელ-
 მაც მტრე ხანში მითლად ააოხრა ის კუნძული. დი-
 დებულ კოლომბი კი იტანჯებოდა უსაქმოდ, შეურაც-
 ყოფილი, გულში ცეცხლ-მოკიდებული. 1505 წ. კო-
 ლომებმა ერთხელ კიდევ სკადა ბედი, წაიდა მეფეს-
 თან და სთოცა დაებრუნებინა მისთვის ისე უსამართ-
 ლოდ ჩამორთმეულნი; მაგრამ კრიკანგისა და უმადუ-
 რის ფერდინანდისთვის კოლომბი საჭირო აღარ იყო
 და აღარც თხოვნა შეუსრულა. სასახლიდან რომ
 დაბრუნდა, კოლომბი გაცივდა და 20 მაისს 1506
 გადაიცვალა თავის შვილის დიეგოს და ძმების
 ხელში.

კოლომბის გვაში ჯერ მოასვენეს წმიდა ფრანცის-
 კის მონასტერში; შემდეგ დასაფლავეს სანტა-მარია-
 მის ეკლესიაში. 1513 წ. გვაში გადასვენეს სიედე-
 ლიაში, საცა ემარხა იმისი შვილი დიეგო. 1536 წ.
 ორთავეს გვაშები წაასვენეს ისპანიოლაში; მაგრამ აქაც

არ მოასვენეს ისინი დიდხანს: ერთხელ კიდევ შეურ-
 ყის საულაივი დიდებულს მიცკალმელს და ახლა
 კი საულუნოდ მიაბარეს მიწას კუნძულს კტაზზედ
 გაიანაში. ფერდინანდ მეფემ, რომელმაც იმდენი სიმ-
 წარე აჩვენა კოლომბს სიციცხლემში, მეცდარს შეე-
 ნიერი ძველი დაუღდა.

ასე გაათავა ქრისტეფორე კოლომბმა თავის წა-
 მებული ცხოვრება; ეს ჯილდო მიიღო მაშინ უმა-
 ლურის თანამედროვეებისა; მაგრამ ახლა კი, რო-
 ცა 400 წელიწადი გავიდა, ახლა მიხვდა კაცობრიო-
 ბა თავის უსამართლობას; ახლა ვაღუხადა დღესას-
 წაული ამერიკის აღმოჩენელის სახლს. მაგალითად:
 ჩიკაგოში შედგა სააქციონერო აშხანავობა, რომელ-
 საც საგნად აქვს 1492 წლის სახსოვრად ააშე-
 ნოს კომპი, სიმალლით 1492 ფუნტი, ის რამ ეს
 კომპი რამდენჯერმე მალაი იქნება ეიფელის კომპე-
 ზედ. ამავე დღესასწაულობის გამო ამერიკელმა ფრან-
 გებმა უძღვნეს ელზანდელს ისპანიის დედოფალს ოქ-
 როს გვირგვინი, ძვირფასი ქვებით შექმნილი, სახსოვ-
 რად იმ გვირგვინისა, რომელიც იზაბელლამ შესწი-
 რა კოლომბს ხარჯის დასაფარავად. იმ ადვოკატს,
 სადაც გადაიცვალა კოლომბი, დადგმული იქნება
 ძველი; პალოსში, სადაც მონასტერი იყო, რომელ-
 შიაც კოლომბმა თავი შეაფარა, შეიკრება აუარემე-
 ლი ხალხი და დღესასწაული გადაიხედა. ამ სახით
 კაცობრიობამ 400 წელს შემდეგ ყოველი ღონისძიე-
 ბა იხმარა, რომ აღმზანის ხსოვნიდან აღვივლიყო ის
 მწარე მოგონებანი, რომელნიც თავში ებადებინა კაცს
 კოლომბის ხსენებაზედ, და იქნება ასეთმა ბრწყინვალე
 დღესასწაულებმა კიდევ მოახერხონ ესა; მხოლოდ
 ერთი გარემოება კი ყოველთვის ხინჯად დარჩება
 აღმზანს. ეს ის გარემოება ვახლავთ, რომ კოლომ-
 ბისაგან აღმოჩენილს ადგილებს „კოლომბიძა კი არ
 დაერქვა, როგორც სამართალი მოითხოვდა,“ არა-
 მედ ამერიკა, იმიტომ რომ კოლომბს შემდეგ ახა-
 ლი ქვეყნის ასაწერად წაიდა ერთი მოგზაური
 სახელოდ ამერიკო ვესპუჩი, რომელმაც ასაწერა ეს
 ქვეყნები, კარტბეს შეადინა და იმიტომ ამ ქვეყა-
 ნას დაარქვეს—ამერიკა. *)

რ. ჯაჯანაშვილი



ს ი შ მ ა რ ი



წარის ოცნებით გატაცებული,
 ვიდექ მარტოკა კლდთან მთაზედა
 და იქიდანა ვერვის ცხედაზედ
 წყდალით მოკლულს ქვეყანაზედა...

უცბად საზარლად დაიძრა მიწა,
 მოისმა მკაცრი გრგვინვა, ქუხილი;
 მოვიდა სისხლის ცრემლისა წვიმა,
 შეე ზოვამაც შექმნა მწარე ბლული.

მარჯვნივ მომესმა შეზავებული
 ერთად ხმაი კენეს-გლოვისა,
 ობოლით ტირილი, ხმალითა ჩხრიალი,
 და ჩხრა-ჩხური ჯაქე-ბორკილისა.

ამ ხმამ თან-და-თან იმატა უფრო;
 მუსლით მოვიღრიე, აღვაყარ ხელი
 და დავიძახე: „ღმერთო მალალო!
 ამ ხმას აშორე ჩენი მთა-ველი...“

მალ. ბოლქვაძე

*) ამ წერილს მასლად ჰქონდა: История знаменитых путешествий Жюля Верна, Илл. Жур. Свевь.

მცირე შენიშვნა

ფრიდრიხ დიდი

მ წლის მარტის 14-ს „კვალის“ მე-11 №-ში იყო დაბეჭდილი გიუ-დემ-პასანის მოთხრობა „მეკლარი, თარგმნილი კიტასი. ახლა იელი. სის 27 „იერიის“ № 158-ში გადაბეჭდილია ეგვეე მოთხრობა, იმავე კიტას თარგმნილი, სხვა სათაურით: „გადაცელილი“. თუმცა ლიტერატურული ნაწარმოების მითვისება კანონით დაშლილია, თუნდ რომ ნაწარმოების სათური გამოცელილიც იყოს; მაგრამ ჩვენ ამას არ მივხედავთ და გვინახია კიდევ, რომ ვაზეთი „იერიის“ შედგომა „კვალის“ სტატიების გადაბეჭდვას თავის მკითხველების სასარგებლოდ. ჩვენ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ თუ „იერიის“ რედაქციას ენებება, „კვალში“ ბევრი კიდევ უკეთესი და მისი მკითხველების გონების განსავითარებელი სტატიებია, და ასეთი სულიერი საზრდოს მიწოდება არამც თუ მისი მკითხველებისათვის იქნება სასარგებლო, არამედ მისი თანამშრომლებიც ბევრს რასმე შეიძენენ. მხოლოდ ეთხოვთ, ყოველთუთის გამოაცხადოს ხოლომე, რომ იგინი „კვალიდან“ არიან გადაბეჭდილი.

ვაჟკაცის სიკვდილი

მ აბრალო არის ეაჟკაცი. შავი მიწის ტყვედ გამხდარი; სიტაბუკისა ყველი უღრა-უღრაოდ დამქნარი და ეტლი წუთისოფლისა ნაბეყარ გზაზედ დამდგარი.

ბრალია იმისი დედა, საწყალი ცრემლში ჩაშხერჩელი, ბრალია იმისი ცალი, ლამაზი ქერივად დამჩალი, იმისი ქორფა დისგული, ახალ ცვილივით დამდნარი.

იმისი ტურფა ქაიორი, ჩიტის საბურღად ვაშდარი, იმისი კოხტა უღე-ში, იმის მკლავები მაგარი; მისინი თულნი და ბაგენი, როგორც სანთელი ჩამქალი.

იმისი ცხენი ზერდაგი მწარე ლოდინი გამხდარი, პირდაღებული ფრანგული მამულისათვის დამდგარი; მაღლა კი მზე და სინათლე, ცხოვრებისათვის გამხდარი!!

თ. რახიკაშვილი

მს ხელმწიფე იყო თანამედროვე ერეკლე მეორესი. სოლომონ ლეონიძემ, მეფის მდივანმა, ერეკლეს სტედარს თავს დაატარა: „აღმოსავლეთში ერთი შენ იყავიო და მეორე ფრიდრიხს პრესისი ხელმწიფე დასავლეთშიო“. მართლაც შესანიშნავა ამ ორი მეფის მკვახესა, მათი სტებედი, მათი ბრძოლა. მაშინდელი ფრიდრიხის სამეფო პრუსია ქართლ-კახეთს ძოღეს უღრიდა, მაშინ როდესაც ერეკლე მეფე ამას ვარდა ვანჯა-ერყენის პატრონიც იყო. როგორც ერეკლე იყო საშს დიდ სახელმწიფოს შუა—რუსეთსა, ოსმალეთსა და სპარსეთს შუა—მომწყვედელი, ისე ფრიდრიხი იყო, რუსეთსა, ავსტრიას და საფრანგეთს შუა მომწყვედელი. იმათ თვალში ეჩიარებოდათ პრუსიის პაწია თავისუფალი სამეფო და უნდოდათ სამ ნაწილად გაეყოთ და სამ ვეშას ჩაენთქა. ერეკლეს სამეფოსაც ევრთივე თვლით უყურებდა სპარსეთი და ოსმალეთი. მაგრამ მაშინ, როდესაც ერეკლე მეფე გულ-მარტივად დაენდა რუსეთს. ფრიდრიხს კი არც ერთის თავის მოსახლერე დიდის სახელმწიფოს მეგობრობისა არა სწამდა რა. ის ამაობდა: „მეზობლის მტრობა იმდენს ევრას მიზაშს, როგორც მისი მოყვრობაო და მთელი თავის სიცოცხლე სამ დიდს ვეშას ემრძოდა. მაგრამ იმან არამც თუ გადაარჩინა თავის სამეფო დანთქისაგან, არამედ კოტა რუსეთსაც ჩამოჭრა, უმეტესი ავსტრიას და თავის სამეფო კიდევ გააორკეცა ავსტრიის იმერატრია მარია-ტერეზია ყოველთვის გულ-ნაღელიანთ ამობოდა ხოლმე: „პრუსიის ლომმა დაუტყვესო თელი ჩემის გერგენისა კლანჭით გამოგლიჯაო“. ის გულისხმობდა სიღვზისი მახრას, რომელიც საბოლოოდ დაიფლო ფრიდრიხმა შეიღის წლის ომს შემდეგ. მაგრამ საკითხავია, უყვარდა თუ არა ფრიდრიხს ომები? სრულებითაც არა. იმას ყოველი ომი უხედურებათ მიანდა თავის ქვეყნისათვის და სანამდის ძალას არ დატანდა ავსტრია, მანამ ხმაღს არ მოკლდებდა ხელს; მაგიერად როგორც კი ომი გათავდებოდა, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა თავისი ხალხის წყლული მოერჩინა, მეურნეობა, აღბე-მიცემობა, მრეწველობა გაედიღენია და წინ წაჟეწია. ის ცდილობდა ხალხი გაემდიღებინა და სახელმწიფო ხაზინაში ფული მოგროვილიყო ახალი ომის სატერი-თებოდა. აი, როგორ ახასიათებს ფრიდრიხს ერთი საუკეთესო გერმანელი ისტორიკოსი: „ფრიდრიხის დიდი დეაწული მისი მხედართ-მთავრული ნიჭი კი არ ყოფი-

ლო აო, რომელ
 შია მას სწორი არ
 ყოლია მის დროს
 დედაძივის ზურ-
 გზეო, არამედი
 მისი ხელმწიფუ
 რი კკუა, შორს
 გამსჭვრეტი პო-
 ლიტკიკაო. ამ სა-
 ხელმწიფო კაცის
 კკუსა და პო-
 ლიტკის მეოხე-
 ბით ერთი პა-
 წია ბრანდებურ
 გის სამარკრა-
 ფო დიდ პრუსიის
 სახელმწიფოდ
 შეიქმნაო ზფრი-
 დრისხ შემდეგ
 მთელი ევროპის
 სახელმწიფოები
 მორიდებით და
 პატრისცემით
 ეპყრობოდენო .
 ფრიდრისხ დიდი
 იყო კანონის მო-
 რჩილი და ისეთი
 კანონმდებლო-
 ბა მისცა თავის
 ხალხს, რომ მხო-
 ლოდ ამ კანონ-
 დების ბრალია
 პრუსიის ხალხის
 გაღონიერება და
 ზნობით ამაღ-
 ლებოა. ყველაზედ უფრო ახასიათებს ფრიდრი-
 ხის სულგრძელობას ერთი შემთხვევა. სამხედრო
 გზა გაჰყავდათ. ჯარის უფროსმა მოახსენა ხელმწი-
 ფის: „ერთი დედაბრის დანგრეული ქოჩი გადაველობა
 გზაზედ და თუ ის არ გადაედგით, გზას ვერ გავი-
 ყვანთო. რამდენი არ ვემულარეთ დედა-კაცს, მაგრამ
 არა გაეწყრა-რა, ეგრე დავითანხმეთ ნებით გადავედგა
 მისი დანგრეული ქოჩი და ხეიერი ფასი მივეცეა ზა-
 რალის აღსადგენათო. მეტი ღონე არ არის, უნდა
 გვიბრძანოთ და ძალათ უნდა დაეუნგრეთ დედა-
 კაცს ქოჩიო.“



ფრიდრისხ დიდი, პრუსიის მეფე

— კანონი ძალ-
 მომრეობის წე-
 ბას არ გადადევ-
 სო — უპასუხა
 ფრიდრისხმა. თუ
 დედაკაცი არ
 თანხმდება, სა-
 ხედრო გზამ უნ-
 და აუქციოს მხა-
 რი ქოჩსაო.

„შვილის წლის
 გამანდგურებე-
 ლს ომს შემდეგ
 ფრიდრისხს მო-
 სვენება აღარ
 ჰქონიაო — სწე-
 რია ერთს ნახა-
 ტებიანს გერმა-
 ნულს გაზეთში.
 დღე-და-ღამ მეფე
 თავდადებული
 იყო, რომ აოხ-
 რებული ალაგე-
 ბი დეშენებინა,
 არხები გაეყვანა,
 უნაყოფო ადგი-
 ლები განაყოფ-
 იერებინა. საცა
 კი სოფელი და
 მზარა გაღარიბე-
 ბულიყო, იქაშე-
 ლებდა ფულს და
 ყოველ გვარ შე-
 მწეობას აძლე-
 და სახელმწიფო


ხაზინიდან. იგი აშენებდა სახელმწიფო ხარჯზედ
 ეკლესიებს, საეპქრო დარბაზებს, აგებდა ძველებს და
 სახელმწიფო შენობებს, რომ ხალხს მუშაობა ჰქო-
 ნოდა და ფულით ხელი მოეთბო. ამავე დროს დიდ
 ყურადღებას აქცევდა ხალხის გამგეობას, რომ კან-
 ნონით არაეინ დაზარულიყო. მრავალი დაწესებულე-
 ბანი დაარსა ისეთი, რომელიც მრეწველობას და
 აღმ-მრეწველობას ხელს უმართავდა. პრუსიის სახელმწი-
 ფის დიდი კეთილმდგომარეობა დაეტყო და აჰყავდა
 ქვეყანა, განსაკუთრებით ჰუმბერტბურგის შერიგებას
 შემდეგ“.

როგორც მეფე ერეკლეს, ფრიდრიხსაც ისე არქ-მეფედა თავისი ერთი სასიყვარულო სახელგმს: „მეფე ფრიცი“, „ბერი ფრიცი“, „სანსუსის-ფილასოფოსი“, „ერთად-ერთი ფრიდრიხი“, „პატარა ფრიცი“ და სხე.

მაგრამ მაშინ, როდესაც ერეკლეს სიცილიაშიდის შერჩა „პატარა კახის“ სახელი და შთამომებაშიაც

გადეიდა იგი, ფრიდრიხ მეფეს „პატარა ფრიცი“ სახელი „დიდ ფრიდრიხად“ გადაქცეა შთამომებაში. ამის მიზეზი ის არის, რომ ერეკლემ თავის განუ-ჭრეტელ პოლიტიკის წყალობით, რაც კმაწელობაში იზონა, იგი მოხატებაში დაქარგა. ხოლო ფრიდრიხ მეფემ პაწია მაგდებურგის სამარკვარაფო დიდ სახელ-მწიფოდ გადააქცია.

გ. წერეთელი.



კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

აღნაშვილი: „ახალი ანბანი“, წიგნი VI—პაწაწა მიწრალოგია, წიგნი VII—პაწაწა ბოტანიკა, წიგნი VIII პაწაწა ზოოლოგია.

III



რისტოტელს, ბერძნის ფილოსოფოსს (მე-IV საუკ. ქრ. წინად), ბუნების მეტყველების შე-მოქმედად თელიან, რადგან მან მის დრომდე მოკროვილ ბუნების სამეტყველო მასალას, მის დროს შესაფერი წესი და რიგი მისცა.

მას შემდეგ გაიარა ათასზედ მეტმა წელმა და მხოლოდ შეეციის გამოჩენილმა მეცნიერმა კარლო ლინნეიმ (მე-XVII საუკ. ქრ. აქ.) ჩადგა ბუნების მე-ტყველებაში გონიერული და მტკიცე საძირკველი. ლინნეიმ ყველა ცხოველს და მცენარეს მისცა თავის ალაგი ბუნების მეტყველებაში და მით გაადეი-ლა მრავალფეროვანი ბუნების შესწავლა.

მთლად ცხოველთა სამეფოს ლინნეის სისტემით შეადგენენ შემდეგი ექსი კლასი: ძუძუ-მწოვარნი (Mammalia), ფრინველები (Aves), ქვეწარმავალნი (Amphibia), თევზები (Pisces), მწერები (Insecta), და ჰები (Vermes).

მხოლოდ ამ სისტემის წყალობით შესძლეს მეც-ნიერებმა არეც-დარეციდან (ხოსიდან) გამოკვეევა და საშუალ საუკუნოების ნისლისა და ბურუსისაგან თე-ლების ახელა.

ლინნეის სისტემა იქამდე გონიერული და მარ-ტივია, რომ დღესაც კი დიდი გავლენა აქეს ბოტა-ნიკაზე და ზოოლოგიაზე. მაგრამ, რადგანაც ლინნეი ცხოველთა სამეფოში სისტემის შესატანად მხოლოდ ცხოველების გარეგან ნიშნებით ხელმძღვანელობდა, ამიტომაც მის სისტემას ზოგიერთი შეკეთება და-სჭირდა.


გერაკ კიუვიემაილო დანა და ცხოველები ანა-ტომიურად გამოიკვლია, ერთი ცხოველის ავებულე-ბა და შიგნეულობა მეროსის შეადარა, შეუფარდა და ბოლოს იმ აზრს დაადგა რომ, მთლად ცხოველ-თა სამეფო აშენებულია ოთხ სხეა-და სხეა ნაირ გე-გმაზე (პლანზე) და ამიტომაც ამ მეცნიერმა ცხოვე-ლები გაანაწილა ოთხ დიდ განყოფილება და თი-

თვეულს განყოფილებაში მოათესა ერთნაირ, მათ-თვის განსაკუთრებულს გეგმაზედ აშენებული ცხოვე-ლები. ამ გვარ განყოფილებათა კიუმე უწოდა ტა-ბეი. დაადგინა შემდეგი ოთხი ტიპი: ხერხემლიანთა (Vertebrata), რბილ ხორციანთა (უძელთა) (Mollusca), სახსრებიანთა (Articulata), და სხოსანთა (Radiata).

შემდეგში, მეტადრე როდესაც ბუნების შესას-წავლად მეცნიერებმა მიკროსკოპით დაიწყეს მუშაო-ბა ერთი ახლად აღმოჩენილი რამ მეცნიერული ფა-ქტი ათას ნაირ თეორიას ბადებდა და ბევრს კამა-თობასაც იწვევდა მეცნიერებში.

ბოლოს ლამარკის და ყოფურა-სენტ-ილერის ნაშრომ-ნაკვლეებზე და მათ მიერ მოშაბდებულ ნია-დაგზე ააშენა დარეენმა თავის გამოჩენილი თეორია: „ბნობლა ახსებობასთვის“ და ამანეე წეს-კანონად დაადგინა ახლად შემუშავებული სისტემა ცხოველთა სამეფოსთვის.

აი, თეთი ეს დარეინის სისტემა, ანუ ცხოველ-თა კლასისიფიკაცია, რომელსაც ეწოდება ხე ცხო-ველთა შთამომებისა:



ეს ხე მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად ითვე-ბა. როგორც ეხედეთ აქ შეიდი განყოფილება და

თვითვეული განყოფილება უჩვენებს იმ დასახამითი ტიპს, რა ტიპზედაც არიან აშენებულნი მისი განყოფილების ცხოველები.

ჩვენ აზრად არა გვაქვს ამ ხის დაწერილებით აღსნა; ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ამ ქამად საუკეთესო სახეობმძღვანელოებს ცხოველთა მეცნიერებისას ეს დარეინის კლასიფიკაცია აქვთ საფუძვლად და მაზედ ავებენ მეცნიერნი ბუნების მეტყველების შენობებს. მაშასადამე ვისაც კი სურს ქართულ ლიტერატურასაც შესძინოს თუნდ მცირედი ცნობები ცხოველთა სამეფოდან, სახეში დარეინის კლასიფიკაცია უნდა ჰქონდეს. მეტადეც ვისაც გვინდა ქართულ ენაზედ ზოოლოგიის დაწერა, საძირკველად უმკველად დარეინის სისტემა უნდა ექონოთ.

აქ არ შეგვიძლია არ დავასახლოთ ბ-ნი იასენსკის მიერ შეწვიერად შედგენილი ზოოლოგია დარეინის კლასიფიკაციის თანახმად. ამ წიგნს იმითომ ვასახელებთ, რომ ჩვენთვის ძლიერ შესაფერია და სანატრელიც არის, ქართველებს რომ ამისთაზა ზოოლოგია გექონდეს.

იასენსკის ზოოლოგიაში აწერილია დარეინის მიერ დადგენილი შეიდი ტიპი შემდეგის წესით:

I ხერხემლიანნი, II ფეხ-სახსრებიანნი, III ჩვილ ხორციანნი, უძელო უჯხო IV ჭიები, V ტუყ-ეკლემბიანნი, VI უნაწლეფონინ და VII უბრალონი, ანუ მარტინი.

თვითვეული ტიპი რამდენიმე კლასიდან შესდგება.

მაგალითად ტიპი ხერხემლიან ცხოველებისა შესდგება შემდეგ ხუთ კლასიდან: ძუძუ-შწოვარნი, მავკაცი, ცხენი, ხარი, ძალი და სხე. ფრინველები, ქვეწარმავალნი (ქვემბრომნი) მავ. გველი, ხელიკი და სხე. წყალ-ხმელეთისანი, მავ. ბაყაყი და თევზნი. თვითვეული კლასისი ჯგუფებიან (ordo, отряды) შესდგება: მავ. ძუძუ-შწოვართა კლასისა.

თორმეტი ჯგუფის შეიცავს: 1) მაიმუნები, 2) მკლავ-ფრთიანები, მავ. ლამურა. 3) მწერი-ჭიმიები, 4) მტაცებელნი, 5) ფეხ-ბანდიანები, 6) მღირღენი, 7) წვილ-ჩლიქიანები, 8) ქაჩიანები, 9) ხორთუმიანები, 10) (თევზთა-მსგავსნი მავ. ვეშაბი), 11) გულანები და 12) ფრინველ-მეცნი (იხენისკარტა და სხე.)

ამ თორმეტი ჯგუფის ცხოველები ცოცხალ შეილებს შობენ და ძუძუს აწობენ.

ყველა ჯგუფს თავის წარმომადგენელი ცხოველები ჰყავს და თითოეული ცხოველი ცალკეა აწერილი. აი, ამ წესით მთელი ცხოველთა სამეფო (შეიდი ტიპი) აწერილია ბ-ნი იასენსკის სახელმძღვანელოში.

ახლა გადავთვლიეროდ ბ-ნი აღნიშვლის „პაწაწა ზოოლოგია“ და ენახათ, რამდენად ეთანახმება ჩვენ მიერ ზემოაყენებულ ბუნების კანონებს და რამდენად ატყვია მას მეცნიერების ნიშნა-წყალი.

წიგნაკი ისეთ ნაირად ყოვლად უსისტემოდ არის შედგენილი და ისეთ ნაირად არიან წერილები ერთნაერთში არეული, რომ ჩვენ საქიროდ ვცანით წიგნაკის მიზანის სათაურები აქვე მოვიყვანოთ და მით შეინახვლმა შეიძლოს ამ არეულ-დარევიდან (ხოსიდან) ცოტათი მაინც ახსის გამოკრევა.

პირველ ფურცლიდანვე წიგნაკი ასე იწყება: „პაწაწა ზოოლოგია“.

„სამეფო სულღვმულთა (?) (ხერხემლიანი ცხოველები).

მიერ იწყება თვით წერილები შემდეგი სათაურებით:

„თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა.“

„კლანქიანთა საკვარეულო.“

„ფრჩილიანნი“.

„მოდგმა I“.

„ლამურა ხო ფრინველია“.

„კუმ ფეხი გამოჰყო მეც ნახირ-ნახირო.“

„ვეშაბი რა თევზია?“

„ხერხემლიანი ცხოველები“.

ყველასათვის, ვისაც კი ზოოლოგიიდან ცოტა რამ ახსოვს, ადელი წარმოსადგენია, რა საშინელი არეულ-დარევა (ხოსი) უნდა დაჰხალის ბეჭების თავში ამ დომხალივით არეულმა წერილებმა.

ჩვენის აზრით მარტო ამ სათაურების წაკითხვა საკმაოა, რომ მკითხველმა შეადგინოს თავის აზრი ამ წიგნაკზედ. მაგრამ ახა, გავაჩიოთ თითოეული წერილი, ენახათ, რამდენად ეთანახმება თავის სათაურებს მაინც.

პირველ წერაზე ვერას ვიტყვი, რადგან მეტად საზოგადო სათაური აქვს. არც იმას ჩაუთვლით ავტორს ღად შეცოდებთ, ჯგუფები წყვილ ჩლიქიანთა, ქაჩიანთა და ხორთუმიან ცხოველებისა ერთად მოუქცევია, რადგან გრეგორიერის ზოოლოგიაშიაც ღორი, სილო, მარტორქა და ბემპოტი (წყლის ცხენი) ერთად არიან მოქცეული, ვით მრავალ ჩლიქიანი ცხოველები. ამასთანავე ეს პირველი წერილი ურიგათ არ არი შედგენილი.

მეორე სათაურით „კლანქიანთა საკვარეულო“ (?) მოჰყოლია ბ-ნი ავტორი და რა რჯულ ცხოველს ბრძანებთ, რომ შიგ არ მოუქცევია მტაცებელ ცხოველების ჯგუფთან ზედვე მიუყვლიბია მწერაჰმათა, გულისხმობა, მდარღნავთა და ფრინველ-მხეცთა ჯგუფები.

ერთი ეს გვიბრძანეთ, ეს კლანჭიანთა საგვარეულო (КОГИТЪЕ) საიდანა გამოვიდნენ? არა მჯერა, რომ სადმე რუსულ წიგნებში ამოგვიხიზნათ, თუ ამოგვიხიზნათ, მაშინ ვერ შევიგნებით, რა აზრით და რომელ ცხოველებს უწოდებენ კლანჭიანებს. თუ არ დაგვწლიათ, კლანჭიანები შეგიძლიათ უწოდოთ მტაცებელთა ჯგუფს. ხოლო უკარგელთა, წყება, იხინისპირებამ და სხვ. ნეტა რა დაეწავათ, რომ ასეთი შეურაცხყოფა მიაყენეთ. გვეითებით, განა ამით ყველას ერთი სათაური „კლანჭიანთა საგვარეულო“ ეკუთვნის?

ის საიდანა მოაპირეთ, რომ აფთარი, დათვი, კერა და დედოფალა ძაღლის ნათესაობა არიანო?! ყველა ამთავანი თქვენად სამწუხაროდ ცალკე ნათესაობას შეადგენენ, არ წაგვიტოვებთ — Семейства Геновья, С. Хорковья, С. Медвѣжьи? ნეტა იცოდენ კითხვა ან აფთარის, ან დათვის ნათესაობამ და, მაგნი, თქვენისთანა მცენიერის არ შეარჩენდნენ ამ გეორ კანდიერებს.

აქვე მე-16 გვერდზედ ვითხულობთ: „მტაცებელი ჰქვიათ აგრეთვე ძღარბსა და თხუნელას“. პირველად გვემისს! ვაი, თქვენი ბრალი თხუნელაე და ძღარბო, თქვენც ყაჩაღებში გიკრათ თავი ბ-ნმა აღნიშნულთა. დაბრწყინება მეტი და იქნება!

მასამე წერილში „ფრჩხილიანი“ ავტორის მამიფენი მოჰყავს, რომელთაც „ფრჩხილიანთა საგვარეულოს“ უწოდებს. სწორად მოგახსენათ. არც ერთ ზოლოდავაში არ შეხვედრებიან — НОГИСТЫЯ. ან რა საჭირო იყო ახალი სახელის გამოგონება, როდესაც მამიფენები ზოოლოგიაში ცალკე ჯგუფს შეადგენენ?

ამ წერილის ბოლოში ტექსტს და ტექსტს შუა საწყება-მანქანადა არის ჩამოკიდული, მაშინ სიხანისეცე მამიფენებს ეკუთვნის.

მეოთხე სათაურმა „მოდგმა I“ ჩვენ სრულყოფითი დავითრები დაგვიკარგა. აქვე მესამე სტრიქონს შემდეგ ერთი უშველემელი სევეთა გამოჰქმული და მეორე გვერდზედაც ტექსტებს შუა ფრინველი ჰყარა. თქვენც ემზადებით ამ ფრინველების ამბების შეტყობას და მათ I მოდგმის გაკონაბას. მაგრამ წახდა შთაბეჭდილება! ტექსტში ამ ფრინველებთან, აი, რა წაგვიტოვებთ: „ყველანი აჩენენ ცოცხალ შვილებს და აწობენ ძუძუს... ჰაი, დიდება შენდა ღმერთო! ნათქვამია: „ყოფი იმიტომ არ იზრდება, რომ ბევრი უცნაური ამბები ესმისო“. თურმე სევეიც ცოცხალ შვილებს აჩენს და ძუძუსაც აწობს!

ამ წერილში სევეიდან მოყოლებული მისდევენ ფრინველების ნახატები და შეიდ პაწაწკინტელა ფურცელზე ოც-და-ათამდე ფრინველია დახატული. ამ ფრინველებსა და ფრინველებს შუა მეხოჯო სათაუ-

რით „ლაშურა ხომ ფრინველია“. ავტორი ავეიწერს ყველა ფრინველებს და სათაურთანვე თითქოს ფრინველების წარმომადგენელად თვით ლაშურა არის გაშლართული. ახლა ვეკითხებით ავტორს, რად უხლართავს ბავშს აზრსა და რად აძლიეს გამოცანებს? შედარებთ თუ უნდოდა, ძალიან უაზრო შედარებაა. მის მაგიერად რომ ლაშურა ჰქმუ-წყოვართა ცხოველებით შორის მოგხსენა და მით უფრო აშკარად წარმოვდგინა ბავშვებისთვის, რომ ლაშურა შეცდომით ჰგონიათ ფრინველი, ავტორი განზრახ თავბრუს ასახაშ ბავშვებს და უკარგავს დაეთრებს. ნეტა ვიცოდეთ, სად და რომელ ზოოლოგიაში გამოიხიზნა ხოლმე ბ-ნი აღნიშნული ამისთანა მარკლიტებს.

რაც შეეხება თვით ნახატებს ფრინველებისას, თუმცა ძრიელ კარგად არიან შესრულებულნი, მაგრამ არ შეგვიძლია პატივცემულ მხატვრის ყურადღება არ მივაქციოთ შემდეგზე: 1) მწყერი (61) ძლიერ დიდად არის დახატული. სიდიდით იქვე დახატულ ქათმებს და ხობხობს უდრის, ბატს (65) და იტს (66) ხომა სიდიდით უფრო მაკობობს. წერი (73) სირაქლემაზე (69) მეტად მკალი გამოვიდა და ყველა ეს შენიშნული ძლიერ აფუტკებენ შთაბეჭდილებას, მით უფრო რომ თითქმის ერთად არიან დახატულნი ჩვენის აზრით მხატვარს არასოდეს არ უნდა დავიწყებოდა ის მამუბები, რა მამუბაზედაც დაიწყია ამ წიგნაკისთვის სურათების ხატვა და კანონი სიმეტრიისაც ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონოდა.

ამისთანავე ნეტა რას ემართლებოდათ შენეირის, მგალობელს და ნაზს სამოთხის ჩიტს, რად აურით მტაცებელ ფრინველებში და რად დახატეთ ორბსა და ბაიყუს შუა? განა ციციარი მწყერია? (იხ. გვ. 39) ესეც ახალი გაგონებაა.

მეექვსე წერილი ამ სათაურით იწყება: „კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო“. მე-1 გვერდზე დახატულია გამაზა. ავტორი ამ ბაყუს სულდგმულად იხსენებს.

სხვებ არ ჩაეთვლით ავტორს დიდ შეცოდებად, რომ ამ ერთ სათაურით კლასი III ქვეწარმავალთა მთლად მოჰყავს, —ესე იგი ჯგუფები: კუო, ხვლაკოთა, ნანატოთა (კროკოდითა), გუჯოთა და აგრეთვე კლასი IV წყალ-ხმელეთისანი: ჯჯუფი გუდახთა და უგუჯოთა ყველა ამ სათაურ ქვეშ მოუქცევა.

მეშვიდე სათაურით „ევშაბი რა თევზია“, ავტორი ავეიწერს ევშაბს კიტს, ფოკონს (тЮлени), მორს, წივებს (акула—თევზია), ჩაქუჩა თევზს, კამბალა თევზს, ტენისთავა თევზს და გველთევზას. ახლა ვეკითხებით ავტორს, რა ზნეობრივ უფლებით ხელმძღვანელობდა, რომ ძუძუ-მყოვარნი (млекопитающія) თევზთა მგზავსი ცხოველები, ესე,

იგი ვეშაბი, სელაბი და მორკი თევზებში აურია? ესეც შედარებისთვის მოაქციეთ აქა? ამ გვარად მეცნიერების დამახინჯება განა შეიძლება?

მერვე და უკანასკნელი წერილი ამ სათაური-თაა: „ხერხემლიანი ცხოველები“ და ტექსტსა და ტექსტს შუა თევზები არიან დახატულნი. თქვენც, რასაკვირველია ამ ხერხემლიან ცხოველების (თევზების) ამბის წაკითხვას ემზადდებით. თუმცე კი ავტორის სხვა ნდომებია: ჩვენის აზრით ამ ზოლოს წერილის სათაური ასეთი უნდა ყოფილიყო: „საზოგადო ნიშნები ზემოდ აწერილ ცხოველებისა.“ მეორე ესა: სიტყვა მლეკონიტაუიყ ავტორის მასწავრად უთარგმნია ეს ვერ არის სახერხო ქართული. მაწუიარს ჩვენში დედას ეტყვიან, რომელიც ძქძეს აწოცხს. ხშირად კვებთ: — ქალო მაწუიარის ხარ, კარვად ქამე, რომ მოგივდესო.

გარდა ამისა ავტორს, როგორც ეტყობა, ტერმინები უთარგმნია ამ გვარად **видъ** = ნათესაეი, **родъ** = საგვარეულო, **семейства** = მოღვა. ჩვენის აზრით კი კლასისთეაკის ტერმინები ასე უნდა ეთარგმნა: **видъ** = გვარი, **родъ** = მოღვა, **семейства** = ნათესაეი, **порядки или отрядъ** = რიგი, ანუ ჯგუფი,

классы = კლასები და **отдѣлы или типы** = განყოფილებანი, ანუ ტიპნი. ტერმინების თარგმნა სულ ახალი საქმეა და თუ კი ვინმე კიდევ უფრო უკეთ გადათარგმნის, რასაკვირველია, სასიამოვნო იქნება, მხოლოდ ავტორის ნათარგმნს კი არ ეეთანხმებით.

ამით ვათავებთ ჩვენ „პაწაწა ზოლოლოვის“ გარჩევას და არ შეგვიძლიან კიდევ არ შევნიშნოთ, რომ წიგნაკს ტყუილა აქვს გახვიადებული სახელი და სჯობდა ასეთი სახელი ჰქონოდა: „პაწაწა ნახატები ხერხემლიან ცხოველებისა.“

ავტორს, მეონი, რაღაც ორიგინალური, რაღაც თავისებური, განსაკუთრებულ ხასიათის ზოლოლოვია უნდოდა ეძღვნა ქართველ ბავშვებისათვის. მაშ არა და!... თუ კი ფრანკულზეხს პოლბერი ჰყავთ, ჩვენც რატომ იმისთანა ვინმე არ უნდა გვეყავდეს!... ამიტომაც წიგნაკის მეექვსე წერილის სათაურს ავტორსვე ეუძღვინეთ.

ბუნების მეტყველების მოყვარე

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ბანსხალეზანი

სამეცნიერო და სალიტერატურო გამეითი

„კ ვ ა ლ ი“

სელის მოწერა „კვალზე“ ამ 1893 წელს განიკრძობა წლიურად და ღირს 8 მანეთი.

გასყეით ნახევარი წლით ღირს გაგსხვებით — 4 მანეთი, სპი თვით — 2 მანეთი, ორი თვით — 1 მანეთი და 50 კ. ერთი თვით — 1 მან. აღრესის გამოცვლა ღირს 60 კ.

გამოვიდა და ისეიღებს

ბურბან რაინდი

დასკლისა

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

უასი მჟსნი შაზრი

საბაღალ-სხეა წ ა რ მ ა ე ზ ა

„როკვეი“

მისილ სტეფანეს მის ბეთანიშვილისა

ქ. ბათუმში.

ამ ბალში მოჰყეთ ცხელი ქვეყნების, ორანჟერის და სახლის მოსართავი მეცენარეები. ავრეთე ისეიღება იმათი ნერვები და ყვეილებების ძირები.

რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თათქმის ტროპიკული ჰავა, ამისგამო ბეთანიშვილის ბალში მოჰყეთ და უფლიან ძირფხას ტროპიკულს მეცენარეებს, რომელნიც ჩრდილოეთის გრილ ჰაერში არ ხარობენ და მსურველთ შეუძლიანთ მათ გემოვნებისამებრ მოიპოვონ ყოველნაირი ამგვარი მეცენარეები, რომელნიც ოთახის თბილ ჰაერში ხარობენ.

ბეთანიშვილის ბალში არის ამ ქაზად ორასი ჩანის ვარდისა, ბურბონისა, რემონტატევისა და სხვა ნაირი ვარდების ნერვები. ხეზლის ნერვები საუკეთესო რუსეთის ღვერობის გვარისა, ორისა და სამის წლისა, ფიჭვეული და ლიბანოს კედრის მგზავსი ხეების ნერვები; ჩირგვეული მეცენარეები ყოველგვარნი, რომელნიც მულამ მწევაზობენ, ანუ რომელთაც ზამთრობითი ფოთოლი სცივით.

სია ამ მეცენარეებისა დაბარებისათანავე უფასოდ იგზავნება.